ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი № 41

2010 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების - ინსტიტუტების შექმნის საკითხის განხილვა და დამტკიცება.
2. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების - ცენტრების და ლაბორატორიების შექმნის საკითხის განხილვა და დამტკიცება.
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების: "ხელოვნების ისტორია", "სოციოლოგია", "პოლიტიკური მეცნიერებები" განხილვა და დამტკიცება.
4. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების: ბიოფიზიკა, ალპურ მცენარეთა ეკოლოგია, ნეირომეცნიერება, გეოფიზიკა, გეოგრაფია, გეოლოგია, ატმოსფეროსა და ონოსფეროს ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, კულტურული ასტრონომია და არქეოასტრონომია, ენტემოლოგია, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოტექნოლოგია, კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის კვლევები, საქართველოს კვლევები, იდენტობის კვლევები, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევები, განხილვა და დამტკიცება.
5. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის პროფესორ გიორგი(გოგი) გეგელაშვილის განცხადების განხილვა ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტანდარტში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.
7. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის სრულ პროფესორ მანანა ნემსაძისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხის განხილვა.
8. სამეცნიერო პერიოდული გამოცემისათვის - "ქრისტიანული არქეოლოგიური ძიებანი", უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და დამტკიცება.
9. მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ცენტრის საკითხის განხილვა.
10. სპორტის ფაკულტეტის დეკანის არჩევა.
11. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების წესის პროექტის განხილვა და დამტკიცება.

12. სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად ასოცირებული პროფესორის, გიორგი თუმანიშვილის დანიშვნა.

13. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორების თანამდებობაზე გიორგი რამიშვილისა და დარეჯან ჯაფარიძის კანდიდატურების განხილვა და დამტკიცება.
14. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დებულების პროექტის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის.
15. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორ ზურაბ ოშხნელის განცხადების განხილვა საბაკალავრო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით.
16. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დარბაზების სახელწოდებების დამტკიცება.

17. უნივერსიტეტის გამომცემლობისათვის სახელწოდების შეცვლის საკითხის განხილვა და დამტკიცება.
18. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება.
19. მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა.
20. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მერაბ სვანაძე - სხდომის მდივანი;
3. გურამ ყიფიანი;
4. ნელი წიბახაშვილი;
5. დავით მიქელაძე;

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2010 წლის 17 ივნისის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. **დადგინდეს:**

ა) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტი.” ინსტიტუტის დირექტორი - ნელი წიბახაშვილი.

ბ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტი.” დირექტორები - დავით მიქელაძე და რევაზ სოლომონია.

გ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკის კვლევების ინსტიტუტი.” დირექტორი - გიორგი ხიმშიაშვილი.

დ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”ეკოლოგიის ინსტიტუტი.” დირექტორები - დავით თარხნიშვილი, ოთარ აბდალაძე, ნათია კოპალიანი.

ე) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი.” დირექტორი - გიორგი მაჩაბელი.

ვ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.” დირექტორი - მალხაზ მაყაშვილი.

ზ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტი.” დირექტორი - გიგა ზედანია.

თ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი.” დირექტორი - ბელა წიფურია.

ი) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ”დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი.” დირექტორი - ზურაბ ჯავახიშვილი.

კ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: ”კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა”. დირექტორი - გია ნოდია.

ლ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ”ზოოლოგიის ინსტიტუტი”. დირექტორი - გიორგი ბახტაძე.

მ) შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი - ”ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია”. დირექტორი - ვასილ კუხიანიძე.

ნ) განხორციელდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოდნის ეკონომიკის სკოლის რეორგანიზაცია და შეიქმნას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - "ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუტი". დირექტორი - გიგი თევზაძე.

2. დადგინდეს: გაუქმდეს 2009 წლის 8 აპრილის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №29 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება ზოოლოგიის ინსტიტუტის, სეისმური მონიტორინგის ცენტრის, ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული თეატრალური ხელოვნების ცენტრის არაკომერციულ იურიდიულ პირად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 2010 წლის 20 აპრილის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" საფუძველზე. ასევე გაუქმდეს 2009 წლის 2 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №34 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებები, კერძოდ: კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის შექმნა, სოცილური კვლევების ლაბორატორიის შექმნა, მეცნიერ ებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის შექმნა, ყოფილ განათლების ფაკულტეტზე ცოდნის ეკონომიკის სკოლის შექმნა, პოსტსაბაკალავრო პროგრამების სამსახურის შექმნა, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის შექმნა.

3. **დადგინდეს:**

ა) შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია ,,სოციალური კვლევების ლაბორატორია". დირექტორი - ლევან თარხნიშვილი.

ბ) შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრი "ენტომოლოგიისა და ბიოკონტროლის კვლევითი ცენტრი." დირექტორი - გიორგი ჯაფოშვილი.

გ) შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრი "ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი". დირექტორი - ნინო დობორჯგინიძე.

დ) შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი: ,,ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის შემსწავლელი თენგიზ ონიანის ლაბორატორია". დირექტორი - ნიკოლოზ ონიანი.

4. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამები: ხელო ვნების ისტორია", "სოციოლოგია", "პოლიტიკური

მეცნიერებები". ფაკულტეტმა გაითვალისწინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები.

5. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები: ბიოფიზიკა, ალპურ მცენარეთა ეკოლოგია, ნეირომეცნიერება, გეოფიზიკა, გეოგრაფია, გეოლოგია, ატმოსფეროსა და ონოსფეროს ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, კულტურული ასტრონომია და არქეოასტრონომია, ენტემოლოგია, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოტექნოლოგია, კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის კვლევები, საქართველოს კვლევები, იდენტობის კვლევები, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევები. ფაკულტეტმა გაითვალისწინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები.
6. **დამტკიცდეს** - შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტანდარტში შემდეგი რედაქციით: "*5.1. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებაზე ან გამოცდაზე პოსტ-საბაკალავრო ფაკულტეტის საბჭოს მიერ კონკრეტული პროგრამის მიმართ დადგენილი წესის მიხედვით. მიღებისას დოქტორანტობის კანდიდატები აბარებენ გამოცდას ინგლისურ ენაში.ინგლისური ენის კომპეტენციათა ზღვარს ადგენს აკადემიური საბჭო ენის გამოცდის დასრულების შემდეგ."*

   ასევე დოქტორანტურის სტანდარტში გამოქვეყნებული საერთაშორისო ჟურნალების ნუსხას დაემატოს "latinedex Gatalogue".
7. **დადგინდეს** - დაკმაყოფილებულ იქნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის პროფესორ გიორგი (გოგი) გეგელაშვილის განცხადება ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.
8. **დამტკიცდეს** - მიენიჭოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის სრულ პროფესორ მანანა ნემსაძეს ემერიტუსის წოდება მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ.
9. **დამტკიცდეს** - მიენიჭოს სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას "ქრისტიანული არქეოლოგიური ძიებანი" უნივერსიტეტის ლოგო და სახელი.
10. **დამტკიცდეს** - შეწყდეს ყველა შრომითი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ და მასწავლებელთა პროფესიული მხრდაჭერის ცენტრის დირექტორ ნ. მ. განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის დაუმტკიცებლობის გამო. გაეწიოს

რეკომენდაცია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე განხილულ იქნას პროფესორ თ. ტ. კანდიდატურა.

11. **დადგინდეს -** სპორტის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი დარეჯან ქობელაშვილი.
12. **დამტკიცდეს -** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის საფეხურზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების წესი წარმოდგენილი სახით.

13. **დამტკიცდეს** - სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად ასოცირებული პროფესორის, გიორგი თუმანიშვილის კანდიდატურა 2010 წლის 1 ივლისიდან.

14. **დამტკიცდეს -** სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტისათვის ასისტენტ-პროფესორების თანამდებობაზე გიორგი რამიშვილისა და დარეჯან ჯაფარიძის კანდიდატურა 3 წლის ვადით.

15. **დამტკიცდეს** - მოწონებულ იქნას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დებულება და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

16. **დადგინდეს -** უარი ეთქვას ამ ეტაპზე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებულ სატელევიზიო სასწავლო ცენტრს საბაკალავრო პროგრამების განხორციელებაზე.
17. **დამტკიცდეს** - საბიბლიოთეკო დარბაზებს მიენიჭოთ შემდეგი სახელები:

1. ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3-5, F კორპუსი);
2. სულხან-საბა ორბელიანის ბიბლიოთეკა (ილია ჭავჭავაძის 32);
3. იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოთეკა (მიხეილ ზანდუკელის #1);
4. ავსტრიის ბიბლიოთეკა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3-5, H კორპუსი);
5. ობსერვატორიის ბიბლიოთეკა (ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #2ა);

6. ობსერვატორიის ბიბლიოთეკა (აბასთუმანი, მთა ყანობილი);
7. ზოოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (ილია ჭავჭავაძის გამზ. #31);
8. იტალიური ცენტრის ბიბლიოთეკა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი #3/5, H კორპუსი).

18. დადგინდეს - უნივერსიტეტის გამომცემლობას ეწოდოს **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა** ქართულად; ხოლო **Ilia State University Press** - ინგლისურად.

19. დადგინდეს - მოწონებულ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

20. დადგინდეს - გამოცხადდეს ზაფხულის მობილობა შემდეგი რაოდენობით: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე - 150, ბიზნესის ფაკულტეტზე-200, სამართლის ფაკულტეტზე- 50, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე - 40 (20-სამაგისტრო პროგრამაზე, 20- სადოქტორო პროგრამაზე).

21. დამტკიცდეს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: თინათინ კახნიაშვილი, გიორგი ჩაგელიშვილი, თეიმურაზ ზაქარაშვილი, ვასილ კუხიანიძე, ზურაბ თავართქილაძე, ზაზა ოსმანოვი, ვანო მურუსიძე.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მერაბ სვანაძე